09/11/2026

MES 5 26 0001631029

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 26 ოქტომბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88567959341
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ანა აროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ქრისტინეახალაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ლანა გაჩეჩილაძე
ირმა ღარიბაშვილი
ალინა კუპრავა
დემეტრე დემეტრაშვილი
მაია თოიძე
ნათია მაწკეპლაძე
ნანა შათირიშვილი
მაია გრიგალაშვილი
იზაბელა ფერიშვილი
მაია ომიაძე
თათია კაციტაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს „სქილვილი“
დირექტორის მოადგილე - ქეთევან ციხისელი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნინო რამიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მარიამ მსხალაია

შპს ბარაკონი
დირექტორი - ფოფხაძე გიორგი
დირექტორის მოადგილე - ბოკერია ნინო
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ჭითანავა ნინო
ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით კონსულტანტი - ხაჩიძე ნინო

ა(ა)იპ კოლეჯ განთიადი
დირექტორის მოადგილე - კახაბერ კახიაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა სამხარაძე
იურსიტი - ნათია გოგინაშვილი

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია
დირექტორი - იოსებ აბესაძე;
დირექტორის მოადგილე - თამარ კურტანიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი - ნინო ვასაძე;

"ბუღალტრული აღრიცხვის" პროგრამის ხელმძღვანელი - გიული გურგენიძე;

შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემია
დირექტორი - მარია რომანოვა;
დირექტორის მოადგილე სასწავლო-საკომუნიკაციო მიმართულებით - ნათია კონცელიძე;
დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით - აზა იფშირაძე;
ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი - ხატია აფრასიძე;
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი - მარიამ გელხვიიძე;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
რექტორი - სოფიო მაჭარაშვილი;
იურისტი - ნინო ელბაქიძე;
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ზურაბ ლობჟანიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ალინა კუპრავა;

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ,,სქილვილისათვის " ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე “ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 1 მაისის N518246 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ბარაკონში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში ''შედუღება'', ''იატაკისა და ფილის სამუშაოები'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ (ქალაქ ვანის და ქალაქ ბაღდათის ლოკაციებზე) „სარესტორნო მომსახურება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) და „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" ქალაქ ვანის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ,,სქილვილისათვის " ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 1 მაისის N518246 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს განუმარტა, რომ შპს „სქილვილმა“ წერილით მომართა ცენტრს და აცნობა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 7 სექტემბრის N1166370 გადაწყვეტილებით, დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **„IT ინფრასტრუქტურის მართვა"**.
ნანი დალაქიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება ამავე პროგრამას ახორციელებს ქ. ბათუმში არსებულ ლოკაციაზეც (საბჭოს 01/05/2026 წლის N518246 გადაწყვეტილება), სახელწოდების ცვლილება ვრცელდება მითითებულ ლოკაციაზე განხორციელებულ პროგრამაზეც.
ზემოაღნიშნულის საფუძველზე, წარმოდგენილია შუამდგომლობა, რათა საბჭოს მიერ მიღებულ იქნეს აღნიშნული ინფორმაცია ცნობად და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 1 მაისის N518246 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,სქილვილისათვის " ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 1 მაისის N518246 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ”შპს ,,სქილვილისათვის“ ,,ბუღალტრული აღრიცხვის", ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის" და ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ქალაქ ბათუმის ლოკაციაზე“

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 1 მაისის N518246 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:, 1.1. შევიდეს ცვლილება „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში და განისაზღვროს შემდეგი რედაქციით: „IT ინფრასტრუქტურის მართვა“. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: შპს ბარაკონში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს განუმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 29 იანვრის სხდომაზე განხილულ იქნა შპს „ბარაკონის“ ავტორიზაციის შესახებ გადადებული საკითხი. საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის N156075 გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა ავტორიზაცია და საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს შპს „ბარაკონში“ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული პირობის შესრულების გადამოწმების მიზნით, კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის წარმოდგენასთან დაკავშირებით. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2026 წლის 17 სექტემბერი, ხოლო მონიტორინგის ფორმად - შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვა (ოქმი N155345-12/02/2026).
აღნიშნულ ოქმში დაფიქსირებულია, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა 2026 წლის 22 იანვრის N51474 წერილი და თანდართული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 15 სექტემბერი.
მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 სექტემბერს სამსახურმა დებულებით გათვალისწინებულ ვადებში გაუგზავნა დაწესებულებას წერილი N1279194, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის წარმოდგენასთან დაკავშირებით. 2026 წლის 24 სექტემბერს შპს „ბარაკონის“ მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი N1311707, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის დადებითი აქტი N396, ასევე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის / სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი (N2541945-13/08/2026).
საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში განსაზღვრული შესაბამისობის რეკომენდაცია სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით დადებითი დასკვნის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნანი დალაქიშვილმა თხოვნით მიმართა საბჭოს მონიტორინგის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონში საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბარაკონში (ს/კ: 204877231) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში ''შედუღება'', ''იატაკისა და ფილის სამუშაოები'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლანა გაჩეჩილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 სექტემბრის N1146088 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში და საგანმანათლებლო პროგრამების - ,,შედუღება'' და ,,იატაკისა და ფილის სამუშაოები'' ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. კოლეჯმა აღნიშნული პროგრამები ახალი რედაქციით 2026 წლის 27 თებერვალს დაიმატა და ჩარიცხა პირველი ნაკადი საგაზაფხულო მიღების დროს (სასწავლო პროცესი დაიწყო 14 სექტემბერს), თუმცა აღსანიშნავია, რომ კოლეჯი 2019 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები", ხოლო „შედუღების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - 2021 წლიდან და ყოველწლიურად ჰქონდა მიღება. პროგრამები სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში. კოლეჯში წინა ვიზიტი პროგრამების დამატების მიზნით მიმდინარე წლის იანვარში განხორციელდა, ორივე პროგრამის ფარგლებში 2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირდა ხარვეზი და შესაბამისობის რეკომენდაცია. პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 თებერვლის N238166 ოქმისა და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯმა დადგენილ ვადაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში (ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი). ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები, რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამების განხორციელების ადგილები, შესაბამისი სასწავლო და მატერიალური რესურსი. დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ (ინდიკატორი 2.2.1.1) - კოლეჯმა წარმატებით შეასრულა შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება. დადგენილ ვადამდე (24.07.2026) შეიძინა მოთხოვნილი „ულტრაბგერითი შედუღების აპარატი“ (LST C800), რასაც ადამიანებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და ადგილზე ვიზიტით დადასტურებული ფაქტი. **დაკმაყოფილებულია.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ (ინდიკატორი 2. 2.1.1): ასევე სრულად იქნა შესრულებული გეგმა. კოლეჯმა უზრუნველყო „ბეტონის მარკიანობის საზომი (შმიდტის ჩაქუჩი)“ ხელსაწყოების (2 ცალი) შესყიდვა და მიწოდება, რაც დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტებითა და ფაქტობრივი დათვალიერებით. **დაკმაყოფილებულია.**

ხარისხის მართვის მენეჯერს შეთავსებული აქვს პროფესიული მასწავლებლის პოზიცია (ჯამში 501 საათი).

კოლეჯს არ გააჩნია ადმინისტრაციული პერსონალისთვის მასწავლებლობის შეთავსების საათობრივი დატვირთვის მკაცრი კონტროლის მექანიზმი. ეს ქმნის ძირითადი სამსახურებრივი ფუნქციების არაეფექტურად შესრულების რისკს, რაც გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად აისახება დაწესებულების საქმიანობაზე.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 - განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეში კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად, დაცულია პირისთვის კოლეჯის მიერ გაცემული ცნობები, რომლითაც დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო გამოცდილება, თუმცა რიგ შემთხვევებში მითითებულია მხოლოდ პროგრამის დასახელება და არ არის მითითებული მოდულ(ებ)ის დასახელება. რეკომენდირებულია, კოლეჯის მიერ მასწავლებლებისთვის გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით.

2.2.1.4 - განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

კოლეჯმა 2026 წლის 8 ოქტომბრის MES 1 26 0001416529 წერილით წარმოადგინა დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიცია:

1. ,,კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (2009 წლიდან). გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ამჟამად ჩართულია პროფესიულ მასწავლებლად ,,ელექტროობის'', ,,სამშენებლო სამღებრო სამუშაოების'' და ,,ხის მხატვრული დამუშავების'' პროგრამების სამ მოდულზე, მისი კვირეული დატვირთვა გახლავთ 10 საათი. რაც შეეხება ვერიფიკაციას, ხარისხის მართვის მენეჯერს მის მიერ ჩატარებული მოდულების ვერიფიკაცია არ განუხორციელებია, რაც შექმნიდა ინტერესთა კონფლიქტის ვითარებას. ვერიფიკაციის ნიმუშების შერჩევისას, გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები როგორიცაა მაგალითად, ინსტუმენტების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა შეუსაბამობების არსებობის მაღალი ალბათობა: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა. ხარისხის მართვის მენეჯერი თვითონ ატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვერიფიკაციის პროცესი მას არ შეეხება, რასაც კოლეჯი განახორციელებს გარე ვერიფიკატორების ჩართვის გზით. ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის საათობრივი დატვირთვის შესახებ დაწესებულებაში არსებობდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, კოლეჯი გაითვალისწინებს რეკომენდაციას და წერილობით განსაზღვრავს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობისთვის კვირეულ საათობრივ დატვირთვას.'' - აღნიშნული საკითხის შეფასება მონიტორინგის ვიზიტის ბრძანებით არ იყო განსაზვრული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას არგუმენტირებული პოზიციის ამ ნაწილზე იმსჯელოს.

2. 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. „პროგრამაში მითითებულია ჩანაწერები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა კოლეჯს შესაბამისი რეგულაცია და პიროებები არ აქვს და პროგრამა სრულად ხორციელდება პირისპირ რეჟიმში, ფიზიკურ გარემოში." ჩანაწერთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ორივე პროგრამაში მოდულების ჩამონათვალთან ზოგიერთი მოდულის გასწვრივ მონიშნულია ველი დისტანციური სწავლების შესაძლებლობების შესახებ, ანუ პროგრამით განსაზღვრულია, რომელი მოდულების განხორციელებაა შესაძლებელი დისტანციურად. კოლეჯში სწავლა ხორციელდება პირისპირ რეჟიმში და ეს ჩანაწერი ეხება მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის მონიშვნას. აქვე აღვნიშნავთ, რომ კოლეჯს აქვს დისტანციურად სწავლების რეგულაცია. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას, ვიზიტის დროს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი არსებული რეგულაცია არ ითვალისწინებდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის / მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/ პროფესიული მომზადების პროგრამის / პროფესიული გადამზადების პროგრამის / სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' No143/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით მიმდინარეობდა შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება. შესაბამისად ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა შეფასებულიყო პროგრამების დისტანციურად განხორციელების პირობები.

3. 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია დაწესებულება გაითვალისწინებს განმავითარებელ რეკომენდაციას, კოლეჯის მიერ მასწავლებლებისთვის გაიცეს ცნობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული მოდულების დასახელების მითითებით. - ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კოლეჯის პოზიციას.
4. 2.2.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რაც შეეხება განმავითარებელი რეკომენდაციას, „პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციის ჯეროვნად შესრულების მიზნით, სასურველია კოლეჯს ჰქონდეს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და შესრულებული ადმინისტრაციული საქმიანობა იყოს ანაზღაურებადი", დაწესებულება იმსჯელებს აღნიშნულის შესახებ. - ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს კოლეჯის პოზიციას.

საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა კოლეჯში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხარისხის მართვის მენეჯერს შეთავსებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიცია. დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პერიოდიდან ახორციელებს აღნიშნული პირი მოდულებს, რაზეც ექპერტმა გააკეთა განმარტება, რომ იგი 2019 წლიდან არის ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებაში.
საბჭოს წევრებმა იკითხეს, რამდენად იქნა შესწავლილი ვერიფიკაციის მასალები და გამოვლინდა თუ არა იმ მოდულების ვერიფიკაციის არარსებობა, რომლებსაც თავად ხარისხის მენეჯერი უძღვება. ექსპერტმა განმარტა, რომ შემთხვევითობის პრინციპით შემოწმდა დოკუმენტაცია და დადასტურდა, რომ იმ მოდულების ვერიფიკაცია, რომლებშიც პირი მასწავლებლად იყო ჩართული, საერთოდ არ განხორციელებულა არც შიდა და არც გარე ვერიფიკატორის მიერ, ვინაიდან არსებობდა ე.წ. „შინაურული ნდობა“ და რისკ-ფაქტორები ამ მიმართულებით არ განიხილებოდა.
მსჯელობისას საბჭოს მხრიდან დაისვა კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ შეფასდა შესაბამისი კომპონენტი დადებითად („შეესაბამება“), მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტის რისკი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავად პრობლემური ვერიფიკაციის ნაწილისა, საკითხი დაფიქსირდა ფაქტობრივი გარემოების სახით და არა ხარვეზად, ვინაიდან იგი გასცდებოდა კონკრეტული შეფასების ფარგლებს და მიზნად არ ისახავდა პროცესის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას. საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია და საბჭომ უნდა იმსჯელოს მის სამართლებრივ შეფასებაზე.
საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ადმინისტრაციული პერსონალის საათობრივი დატვირთვისა და რეგულირების საკითხი. კერძოდ, დაისვა კითხვა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციული პერსონალისთვის მასწავლებლობის შეთავსების საათობრივ შეზღუდვას განსაზღვრავდა. აღინიშნა, რომ ხარისხის მენეჯერის კვირეული დატვირთვა მასწავლებლის პოზიციაზე დაახლოებით 15 საათს შეადგენს, ხოლო საერთო სამუშაო საათების გათვალისწინებით, ხარისხის მიმართულებით მუშაობას მხოლოდ 2 საათი რჩება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული გარემოებაც წინა საკითხის მსგავსად ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერით შემოიფარგლა. თუმცა, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, გამოთხოვილი იქნა სასწავლო გეგმები და დეტალურად იქნა შესწავლილი მიმდინარე ხელშეკრულებები (სამ პროგრამაზე, ოთხ ჯგუფთან). ზეპირსიტყვიერი განმარტებით დირექტორთან შეთანხმებულია კვირეულად 10 საათი, თუმცა სამართლებრივად შიდა რეგულაციებში ეს საკითხი გაწერილი არ არის. ამასთან, დაწესებულებამ წერილობით დააფიქსირა, რომ ეთანხმება რეკომენდაციას და უზრუნველყოფს ამ მიმართულების სამართლებრივ მოწესრიგებას.

საბჭოს თავმჯდომარემ გაამახვილა ყურადღება განმავითარებელი რეკომენდაციის გაცემის საკითხთან, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციასა და მის ანაზღაურებას შეეხებოდა. დასმულ კითხვაზე, სცდებოდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნებს და წარმოადგენდა თუ არა დაწესებულების შიდაორგანიზაციულ ფინანსურ ავტონომიაში ჩარევას, ექსპერტმა განმარტა, რომ ეს არ არის ავტონომიაში ჩარევა. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი სახელმწიფოს თანამონაწილეობით არის დაფუძნებული, არგუმენტაციის გარეშე დაწესებულებას ახალი პოზიციების დამატება უჭირს. შესაბამისად, გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია წარმოდგენილია იმ მიზნით, რომ დაწესებულებას ჰქონდეს სუბსტანციური და დასაბუთებული არგუმენტი პოზიციის აქტუალობის გამოსახატად, რაც მათთვის ხელშემწყობი და დამხმარე მექანიზმი იქნება შესაბამის ქვესტანდარტთან და ინდიკატორთან მიმართებით.

საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დისტანციური სწავლების რეგულაციასთან დაკავშირებული საკითხი. კერძოდ, დაისვა კითხვა იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესაბამისი რეგულაცია, ან არსებული რეგულაცია მოითხოვდა თუ არა განახლებას ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა მინისტრის ძველ ბრძანებაზე დამტკიცებული რეგულაცია, რომელიც არამოქმედი და არა აღსრულებადი იყო, ხოლო თავად დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა ახალი პროექტის მომზადება.

განხილვის დასასრულს, საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა ძირითადი პრობლემური საკითხები და მიმართა დაწესებულებას პოზიციის დასაფიქსირებლად, მისი განცხადებით, მიუღებელია არგუმენტი იმის შესახებ, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განხორციელებულ მოდულებზე ვერიფიკაცია არ ტარდება „შინაურული ნდობის“ გამო. აღნიშნული პროცესი მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს გარე ვერიფიკატორის მიერ. შინაგანაწესში ან მარეგულირებელ დოკუმენტებში აუცილებლად უნდა გაიწეროს ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მასწავლებლობის შეთავსების წესები. იმის გათვალისწინებით, რომ ერთადერთი ხარისხის მართვის მენეჯერი სრული 40-საათიანი განაკვეთით მუშაობს, დამატებითი საათები (10-15 საათი) სცდება ნორმას, წარმოადგენს ზეგანაკვეთურს და შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს. მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი მონიტორინგი არ ინიშნება, აღნიშნული ხარვეზები აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და დაწესებულებას მოეთხოვება პოზიციის დაფიქსირება.

საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა (ხარისხის მართვის მენეჯერმა) განმარტება გააკეთა დასმულ კითხვებზე. მისი თქმით, პროგრამების დანარჩენ მოდულებში მითითება მხოლოდ მდგრადობისთვის იყო განსაზღვრული (იმ შემთხვევისთვის, თუ მასწავლებელი ავად გახდებოდა ან სხვა გამოუვალი სიტუაცია შეიქმნებოდა), ხოლო ფაქტობრივად ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა მხოლოდ 3 მოდულზე, რომლიდანაც ამჟამად მიმდინარეობს 2 და კვირეული დატვირთვა 10 საათს არ აღემატება.

ვერიფიკაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2024 წლიდან მოდულები გარკვეული რეჟიმით ხორციელდებოდა, ხოლო 2025 წელს მას სწავლებაში მონაწილეობა არ მიუღია. ვერიფიკაცია შერჩევითი პრინციპით ხორციელდებოდა რისკ-ფაქტორების მიხედვით, თუმცა დაეთანხმნენ იმ ფაქტს, რომ ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელებული მოდულების ვერიფიკაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს და სამომავლოდ გარე ექსპერტები/ვერიფიკატორები მოწვეულნი იქნებიან.

რაც შეეხება საათობრივ დატვირთვასა და შიდა რეგულაციებს, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ წერილობითი რეგულაცია ამ დრომდე გაწერილი არ ჰქონდათ და საკითხი ზეპირი შეთანხმებით რეგულირდებოდა, თუმცა დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია და უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურებისა და საათობრივი ზღვრების სამართლებრივად გაწერას. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ

აუცილებელია როგორც დატვირთვების (ზეგანაკვეთური საათებისა და ანაზღაურების) ზუსტი მოწესრიგება, ისე იმ მოდულების გარე ვერიფიკაციის უზრუნველყოფა, რომლებსაც თავად ხარისხის მენეჯერი უძღვება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში ''შედუღება'', ''იატაკისა და ფილის სამუშაოები'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში (ს/კ: 217890192) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ''შედუღება'', ''იატაკისა და ფილის სამუშაოები'' განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეოთხე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 სექტემბრის No1146107 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 17

სექტემბერს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ (მისამართი: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. No50). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ბ.ბ“ კომპონენტის შემოწმება, ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი , თანდართული დოკუმენტაცია და შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი No1). ვიზიტის ფარგლებში, შეფასების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, დაწესებულებისგან გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოებისა და მატერიალური რესურსების შეფასება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და პროფესიულ სტუდენტთა დაგეგმილ ზღვრულ რაოდენობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით განხორციელდა პირადი საქმეების გადამოწმება, ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 6 აპრილის No410222 გადაწყვეტილებით პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 128-ით. რესურსის კომპონენტი (2.2) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია 2026 წლის 2 აგვისტომდე შეეძინა 32 კომპიუტერი და სრულად აღეჭურვა No312 აუდიტორია, რათა პროგრამის მატერიალური რესურსი 128 პროფესიული სტუდენტის მიღებისთვის საკმარისი ყოფილიყო. მონიტორინგის ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ წინა საავტორიზაციო წარმოებისას გაცემული რეკომენდაცია - 32 კომპიუტერის შეძენა და No312 აუდიტორიის სრულად აღჭურვა - შესრულებულია. აღნიშნული გარემოება გადამოწმდა დოკუმენტურად და ადგილზე დათვალიერებით. მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 2.2 კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გამოვლენილა

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 02/10/2026 წლის No00022427 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ თავისუფალი ხედვის აკადემია ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ შეფასებებს და ფაქტობრივ გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ექსპერტთა შეფასებით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიმართულებით, დაწესებულებამ სრულად დააკმაყოფილა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები. მონიტორინგისა და ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მატერიალური ბაზისა და პერსონალის პირადი საქმეების ანალიზით დადასტურდა შემდეგი:

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური ბაზა (აუდიტორიები, ტექნიკა და რესურსები) რეალურად არის მობილიზებული. დაწესებულებამ სრულად შეასრულა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (შეიძინა 32 ერთეული კომპიუტერი და აღჭურვა აუდიტორია №312). წარმოდგენილი სასწავლო გარემოები (A და AB აუდიტორიები) თავისი დანიშნულებითა და ორცვლიანი განრიგით სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას 128 პროფესიულ სტუდენტზე.
პროგრამას ჰყავს საკმარისი რაოდენობის (სულ 32) კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი (პროფესიული, ზოგადი და ქართული ენის მოდულებისთვის). თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი, ხოლო მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას.
პერსონალს გააჩნია შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაზე, ხოლო ახალად დამატებულ პერსონალთან პროგრამის ხელმძღვანელმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა-ტრენინგი.
პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროგრამის მართვისა და ახალ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესებში.
პროგრამით განსაზღვრული რესურსები და ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონულად (მათ შორის QR კოდების მეშვეობით) და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
დაწესებულების მარეგულირებელი წესები ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირებას სსსმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.
წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ფინანსური გაანგარიშებები (რომლის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 11 პროფესიულ სტუდენტს) სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და უწყვეტ განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის შედეგად დასტურდება, რომ ინდიკატორები 2.2.1.1, 2.1.1.2, 2.1.1.3, 2.1.1.4, 2.1.1.5, 2.1.1.6 და 2.1.1.7 - შესაბამისობაშია / დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში "ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს

ადმინისტრაციული წარმოება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში (ს/კ: 406460235) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეხუთე საკითხი: შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ (ქალაქ ვანის და ქალაქ ბაღდათის ლოკაციებზე) „სარესტორნო მომსახურება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) და „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" ქალაქ ვანის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის NoMES 3 26 0001197444 და 2026 წლის 24 სექტემბრის NoMES 3 26 0001307694 ბრძანებების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შპს „მსოფლიო განათლების აკადემიაში“ 2026 წლის 24-25 სექტემბერს განახორციელა ექსპერტთა ვიზიტი.
შეფასების მიზანს წარმოადგენდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „კულინარია“ (ვანსა და ბაღდათში), „სარესტორნო მომსახურება“, „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ და „სასტუმრო მომსახურება“ (ვანში)ფართის ცვლილებიდან გამომდინარე, ქ. ვანში (ჭავჭავაძის ქ. No22) დაწესებულების შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ (ადამიანური რესურსი) კომპონენტთან, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტის „ე.ა“ (მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა) და „ე.ბ“ (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტებთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში, დამატებით გამოთხოვილი მტკიცებულებები და დაწესებულების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჩაატარა ინტერვიუები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი წარიმართა კონსტრუქციულ და თანამშრომლობით ფორმატში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კულინარია“: (ვანის ლოკაცია; ბაღდათის ლოკაცია); „სარესტორნო მომსახურება“ (ვანის ლოკაცია) და ,,ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (ვანის ლოკაცია).

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
2.2.1. (1) - ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი ,,კულინარიის“ პროგრამის C სასწავლო გარემო (ძირითადი და დამხმარე). მატერიალური რესურსი იყო შეძენილი, მაგრამ წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში. გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
2..4.1 (6) - ვიზიტის პერიოდში პროგრამის პრაქტიკული კომპონენტისთვის გათვალისწინებული C ტიპის სასწავლო გარემო (ძირითადი და დამხმარე) მოწყობილი და ფუნქციურად მზად არ იყო, რის გამოც ვერ დადასტურდა ,,კულინარიის“ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს ფაქტობრივი უზრუნველყოფაც. გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოწყობა.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე
ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C სასწავლო გარემო (ძირითადი და დამხმარე). მატერიალური რესურსი წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში. ვერ დადასტურდა ლაბორატორიაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს არსებობაც. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2. 1 (1) და 2.4.1 (6) ინდიკატორები, შესაბამისად, 2.2. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“. დაწესებულებამ 2026 წლის 06 ოქტომბრის No00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ (ვანის მისამართი) დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის შემდგომ დასრულდა C სასწავლო გარემოს მოწყობა. ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია ფოტომასალა და მოთხოვნილია 2.2.1 (1) ინდიკატორის სრულ შესაბამისად შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პროგრამის C სასწავლო გარემო მოწყობილი არ იყო, ხოლო მისთვის შეძენილი ინვენტარი შეფუთულ მდგომარეობაში იყო განთავსებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ შეცვლილ მდგომარეობას

(სრული სურათი მაინც არ იკვეთება), მაგრამ არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 2.2. 1 (1) ინდიკატორის სრულ შესაბამისად შეფასების შესახებ. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი, ,,კულინარიის“ 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2.2.1 (1) ინდიკატორი, შესაბამისად, 2.2 კომპონენტი შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ანალოგიურად, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მოთხოვნას 2..4.1 (6) ინდიკატორის შეფასების ცვლილებასთან დაკავშირებით. - ,,სრულად შეესაბამება“, მაგრამ გათვალისწინებულია წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და 2..4.1 (6) ინდიკატორი, შესაბამისად, 2.4 კომპონენტიც შეფასებულია როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ .

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ (ვანის ლოკაცია) სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 (1) - ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C სასწავლო გარემო მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ . მატერიალური რესურსი იყო შეძენილი, მაგრამ წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში. გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C სასწავლო გარემო მოდულისთვის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“. მატერიალური რესურსი წარმოდგენილი იყო შეფუთულ მდგომარეობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“. დაწესებულებამ 2026 წლის 6 ოქტომბრის №00008965 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის შემდგომ დასრულდა მოდულის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ C სასწავლო გარემოს მოწყობა. ამის დასადასტურებლად წარმოდგენილია ფოტომასალა და მოთხოვნილია 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისად შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული მასალები. დადგინდა, რომ დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პროგრამის C სასწავლო გარემო მოწყობილი არ იყო, ხოლო მისთვის შეძენილი ინვენტარი შეფუთულ მდგომარეობაში იყო განთავსებული. ავტორიზაციის დებულების 51-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტი მზადდება განაცხადის, თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე. ამავე მუხლის მე - 6 და მე - 7 პუნქტები ითვალისწინებს პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის განხილვას საბოლოო დასკვნის მომზადებისას. წარმოდგენილი ფოტოები ასახავს ვიზიტის შემდგომ შეცვლილ მდგომარეობას, მაგრამ არ ცვლის ვიზიტისას დადგენილ ფაქტს, რომლის საფუძველზეც, დებულების თანახმად, მზადდება დასკვნა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას 2.2 კომპონენტის სრულ შესაბამისად შეფასების შესახებ. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი, ,,სასტუმრო

მომსახურების“ 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის მე- 2 პუნქტის საფუძველზე, 2.2 კომპონენტი შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დეტალურად და სიღრმისეულად განიხილეს დაწესებულების მიერ ორი ძირითადი მიმართულებით - ვანის მუნიციპალიტეტში ახალ მისამართზე ფუნქციონირების დაწყებისა და ბაღდათის მისამართზე არსებული პროგრამების გაფართოებისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი. წარმოდგენილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია მოიცავდა კულინარიის (IV დონე), სასტუმრო მომსახურების, სარესტორნო მომსახურებისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების (IV დონე) საგანმანათლებლო პროგრამებს.
სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბაღდათის მისამართზე დაწესებულება წარმატებით და შეუფერხებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას. კერძოდ, კულინარიის პროგრამაზე ფიქსირდება სტუდენტთა განსაკუთრებით მაღალი ინტერესი და აქტივობა - წინა წლების კურსდამთავრებულთა და სტატუსაღდგენილი სტუდენტების მონაცემების გათვალისწინებით, სწორედ ამ ლოკაციაზე 125 პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლას, ხოლო მატერიალური, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსი სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს.
რაც შეეხება ვანის ახალ მისამართს, დაწესებულების მიერ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ახალი სამსართულიანი შენობა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე განხორციელებული ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა გარკვეული ინფრასტრუქტურული გამოწვევები: შენობის სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების ახლად დასრულების გამო, შეძენილი მატერიალური რესურსი და სასწავლო ინვენტარი ნაწილობრივ შეფუთულ მდგომარეობაში დახვდათ. აღნიშნულმა ფაქტობრივმა გარემოებამ დასკვნის პროექტში თავდაპირველად განაპირობა 2.2 (მატერიალური რესურსი) და 2.4 (უსაფრთხო სასწავლო გარემო) კომპონენტების შეფასება, როგორც „არ შეესაბამება“. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეტალური გეგმისა (რომელშიც სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადად 2026 წლის 25 ოქტომბერი განისაზღვრა) და ვიზუალური მტკიცებულებების/ფოტომასალის განხილვის შემდეგ, დარგობრივმა ექსპერტებმა, განსაკუთრებით კულინარიისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების მიმართულებით, დაადასტურეს, რომ შეფერხება გამოწვეული იყო მხოლოდ დროის უკმარისობითა და მონტაჟის პროცესის დაგვიანებით და არა რესურსების ნაკლებობით. ამასთანავე, ხაზი გაესვა დაწესებულების მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, მდიდარ ბიბლიოთეკასა და ხარისხიან აღჭურვილობას.
სხდომის მსვლელობისას საბჭოს წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელების საათობრივი დატვირთვის ბადეებს, ბაღდათიდან ვანში პერსონალის სამარშრუტო მიკროავტობუსით ორგანიზებულ ტრანსპორტირებასა და ორივე ფილიალში სწავლების მდგრადობისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. ექსპერტთა ჯგუფის განმარტებით, დაწესებულების გამტარიანობის შესწავლის მიზნით, დეტალურად გაანალიზდა სასწავლო გეგმები და ერთმანეთს შეედარა პირველი და მეორე წლების საათობრივი დატვირთვები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას მოზიდული ჰყავს საკმარისი რაოდენობის მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ნაკადები გადანაწილებულია ორ მიღებაზე, რაც სრულად გამორიცხავს პედაგოგთა გადატვირთვას. პერსონალისა და სტუდენტების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას დაქირავებული აქვს სამარშრუტო მიკროავტობუსები. გარდა ამისა, ტყავის ნაკეთობათა წარმოების პროგრამის ფარგლებში პარტნიორ საწარმო შპს „ლევენტოსთან“ გაფორმებული

ხელშეკრულებისა და ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს საწარმოს მზაობასა და გამტარიანობას (40-50 სტუდენტი ერთ მიღებაზე), რაც სრულად უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის ეფექტიან განხორციელებას.
რაც შეეხება პროგრამების განხორციელების ფორმებს, სხდომაზე დაზუსტდა, რომ კულინარიისა და სარესტორნო მომსახურების პროგრამები განხორციელდება იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში, ხოლო ტყავის ნაკეთობათა წარმოების პროგრამა - კოოპერაციული სწავლების ფორმით.
საბჭომ იმსჯელა 2.2 და 2.4 კომპონენტებში „მეტწილი შესაბამისობის“ შესახებ და შესაბამისობის გეგმის, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებების და საბჭოს სხდომაზე ექსპერტების მხრიდან აღნიშნულის დადასტურების საფუძველზე, საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა 2.2 და 2.4 კომპონენტების „შესაბამისობაში“ გადმოტანის საკითხი, რასაც საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა.
ამასთანავე, საბჭომ იმსჯელა ვანის ლოკაციაზე მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტთან (მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა) დაკავშირებულ ინდიკატორებზე - კერძოდ, ცენტრალურ გათბობაზე (5.1.1.4), ვიდეომეთვალყურეობის სისტემასა (5.1.2.4) და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნაზე (5.1.2.1). ვინაიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ოფიციალური დასკვნა ამ ეტაპზე წარმოდგენილი არ იყო, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებას, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, განესაზღვროს ვადა 2026 წლის 25 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის გათვალისწინებით, შპს „მსოფლიო განათლების აკადემიას“ დაევალა დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რის საფუძველზეც საბჭომ ჩანიშნა მონიტორინგი (ვიზიტის გარეშე, მხოლოდ დოკუმენტაციის წარდგენით) 5.1. კომპონენტის შესრულების გადასამოწმებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“ (ქალაქ ვანის და ქალაქ ბაღდათის ლოკაციებზე) „სარესტორნო მომსახურება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) და „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიას“ (ს/კ: 425060827) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კულინარია“ (ქალაქ ვანის და ქალაქ ბაღდათის ლოკაციებზე) „სარესტორნო მომსახურება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) და „ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ (ქალაქ ვანის ლოკაციაზე) **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიისთვის" ქალაქ ვანის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,მსოფლიო განათლების აკადემიას“(ს/კ: 425060827) ქალაქ ვანის ლოკაციაზე მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება"**(დანართი 3).**
საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი, ვიზიტის გარეშე, მხოლოდ დოკუმენტაციის წარმოდგენით, 5.1. კომპონენტის შესრულების გადასამოწმებლად, მონიტორინგის თარიღი 2026 წლის 26 ნოემბერი.
სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ანა აროშიძე.

მეშვიდე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს მდივანს ნათია ბუთხუზს ჰქონდა აცილება. საბჭოს მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი ანა აროშიძე.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია ომიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 10 სექტემბრის №1197475 საფუძველზე, 2026 წლის 25 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (ქ. თბილისი, ც. დადიანის N28 და წეროწისის N208) „საქართო განათლების“ ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. შედგა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია, დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტუქტურა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (LMS) და ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის OPEN Biblio. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
არ დაფიქსირებულა
III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
არ დაფიქსირებულა
IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
არ დაფიქსირებულა

ექსპერტის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი ბრძანებებისა და დადგენილი პროცედურების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა და შეაფასა „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ ახალი, ინგლისურენოვანი საქართო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების საკითხი. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამა სრულად თავსებადია აკადემიას მისიასა და სტრატეგიულ განვითარებასთან, ხოლო მისი მიზანშეწონილობა დასაბუთებულია ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერების, სამედიცინო ტურიზმის განვითარებისა და პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, რაზეც საქართველოს განათლებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი თანხმობის წერილიც არსებობს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ადაპტირების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, თარგმნისა და რესურსების მობილიზების ხელშეკრულებები, აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციებისა და საქართო განათლების ასოციაციის წერილები, რომლებიც ადასტურებენ ინგლისურენოვანი კადრების მობილიზებას ვიზიტორთა მომსახურებისა და საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. დადგენილი წესით შემოწმდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონე) და პროგრამის 36-ივე განმახორციელებლისა და ხელმძღვანელის ენობრივი კომპეტენცია, რომელიც დადასტურდა შესაბამისი სერტიფიკატებითა და დოკუმენტებით. გარდა ამისა, დამტკიცებულია პერსონალის 2026 წლის განვითარების გეგმაც.
კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს ჯამში 168 პროფესიული სტუდენტის მიღებას (3 კალენდარული წლის განმავლობაში, წელიწადში 96

სტუდენტი, დაკომპლექტებული 28-სტუდენტიანი ჯგუფებად), ხოლო რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15 სტუდენტზე. წარმოდგენილი ბიუჯეტი სრულად ფარავს პროგრამის ადმინისტრირების, პედაგოგთა ანაზღაურების, პრაქტიკის მასალებისა და სხვა აუცილებელ ხარჯებს. დისტანციური სწავლების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ლიცენზირებული Zoom და Google Meet პლატფორმები, ხოლო სასწავლო პროცესი მთლიანად იმართება „ელემენსის“ ინტეგრირებული ციფრული სისტემით. ინფრასტრუქტურული ნაწილში წარმოდგენილია 3 შესაბამისი გარემო (თეორიული, კომპიუტერული ლაბორატორია და სიმულაციურ-პრაქტიკული სივრცეები), ბიბლიოთეკა აღჭურვილია OpenBiblio სისტემითა და ლიცენზირებული საკანონმდებლო ბაზით.
პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები 5 წამყვან კლინიკასთან, სადაც სტუდენტთა და ექთნის თანაფარდობა მკაცრად არის დაცული (1:7-ზე). ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დანერგილია ISO სტანდარტები, ტარდება კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები (მაგ., კურსდამთავრებულთა 92%-მა აღნიშნა, რომ პროგრამამ სრულად გაამართლა მოლოდინები), ხოლო ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესები მიმდინარეობს რისკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, ინტერესთა კონფლიქტის მკაცრი არიდებითა და მხოლოდ ტექნიკური ხარვეზების გამოვლენით.
საბჭოს სხდომაზე ასევე დეტალურად განიხილეს ინგლისურენოვანი საექთნო პროგრამის მიზნობრიობისა და ბაზრის მოთხოვნების საკითხი. დისკუსიისას დაისვა კითხვა იმის შესახებ, იყო თუ არა აღნიშნული პროგრამა გამიზნული მხოლოდ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელად. დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა განმარტეს, რომ პროგრამა პირველ რიგში ორიენტირებულია როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, ისე ადგილობრივებზე, რომლებიც წარმატებით დასაქმდებიან საქართველოში. ქვეყანაში მზარდი სამედიცინო ტურიზმისა და უცხოენოვან პაციენტთა მომსახურების ნაკადების გათვალისწინებით, ადგილობრივ კლინიკებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს აქვთ ინგლისურენოვანი დეფიციტური კადრების მწვავე საჭიროება. დამსაქმებელთა კვლევისა და ინტერვიუების მიხედვით, ეს არის სრულიად სიახლე ბაზარზე, პოტენციური დამსაქმებლები აღფრთოვანებულები არიან და დიდი მოლოდინით ელოდებიან კოლეჯის მიერ გადამზადებულ ინგლისურენოვან პროფესიულ კადრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დამატების შესახებ საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ:

406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქთნო განათლება“ **(დანართი 4).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:26 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
აროშიძე ანა



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	IT ინფრასტრუქტურის მართვა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. No22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	კულინარია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის N24; ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიმი; 1- ლი ქუჩა No89
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. No22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	ტყავის ნაკეთობათა წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. No22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ვანის მუნიციპალიტეტი, ქ. ვანი, ჭავჭავაძის ქ. No22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საქთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ . N28; წერონისის ქ. N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	168
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180